

შინაური საქმეები.

№ 39.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მესხეთე.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

კვირა, 11 ნოემბერი 1912 წელი

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

შინაური საქმეები

საქმეში № 17). და თბილისში. კამბეკულოთაძის სახლის ახარში, სიბინაძის ქუჩის მკაზაში. გამოცემა უფასო.

გაზეთის შასი:

წლიური შასი:	წლიური შასი:	წლიური შასი:	წლიური შასი:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბანი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემთავანა წლიური შასი მომწოდებელის შეიძლება ასე განაწილდეს: თბილისში 2 მ., და 1 იფისა 2 მ. განსაკუთრებულ შასი წინა გვერდზე პერიოდული სტრიქონი ორი შაური. შესასყენებლად 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური საქმეები: 1. სიტყვა ოც და მესამე კვირიაკესა — ეპისკოპოს ლეონიდისა; 2. ზნობა. პასუხად ბ. გომარ-თელის წერილისა „ოჯახის ზნობრივი მხარე“ — სეფევე-ლელისა. 3. გარეგნულმა პროგრესმა დაუხლოვა თუ არა კაცობრიობა ბუნდნიერებას? — იათეზისა; 4. მიტ-როპოლიტ ანტონის სიკვდილის გამო; 5. ახლო-მახლო — სორტელი სტუმრისა; 6. კრიტიკული შენიშვნები — ხომლელისა; 7. რას მოვესწარი — ყორანისა; 8. ცოფე-რული ამბები. ა) სოფ. ცაიში-კახათი — თემურაზ ტიკინა-ძესი; ბ) სოფ. ცხამი — გლეხისა; გ) სოფ. ნაქალაქარი — ქართველი ოსებში ნამყოფისა; 9. საეკვო კითხვების განმარტება; 10. მადლობის გამოცხადება; 11. ჩვენი ფოსტა.

სიტყვა

ოც და მესამე კვირიაკესა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

თუ ყურადღებით მოისმინეთ ღმრთიანდელი სახარება, უსათუოდ გასაკვირველად დაგირჩე-ბოლათ გადარინელთა საქციელი. უკანასკნე-ლებს ჰყავდათ ერთი, ბოროტი სულებისაგან შეპყრობილი, მეზობელი. ამ უბედურს ისე სტანჯავდნენ ბოროტი სულები, რომ არაფერს არ იყენებდა ტანზე, ბამბის ძაფივით ჰგლეჯდა და ანსებრევედა რკინის ჯაჭვებს, დღე და ღამე ნადირივით ატარებდა. სოფლის გარეთ სა-ფლავებში და მისი შიშით ვერავის ვერ გაეც-ლო მახლობელ არემარეში. მაგრამ, როგორც იყო მოხედა შასი ღმერთმა. სახარებიდან მოვი-მინეთ, რომ იესო ქრისტემ განსდევნა ამ უბე-

დურისაგან ყველა ბორჯი სულელები, დაუბრუნა მას გონება და გადარინელებმა საკუთარი თვალით ნახეს, რომ ეს, მანამდე მხეცის მსგავსი, მათი მეზობელი „იჯდა შემოსილი და გონიერი ფერხთა თანა იესოსთა“.

მოსალოდნელი იყო, რომ საბრალო მეზობლის ამგვარი ბედნიერება სიხარულით ააყვებდა, აღაფრთოვანებდა და გულს გაუთბობდა და გადარინელებს. რომ ასეთი არა ჩვეულებრივი შენთხვევისა მნახველები, ფეხ ქვეშ ჩაუვარდნობდნენ, მუხლებს დაუკოცნიდნენ ქრისტეს და დაჩოქილნი სთხოვდნენ მას: გააბედნიერე შენი პირადი მობძანებით ჩვენი კუთხე ჩვენი კარმიდამო, ჩვენს ოჯახებშიაც შემოიტანე შენი მადლი, ჩვენც მოგვნათლე, დაგვატყებ და გავგავონე შენი ახალი ქადაგებო; მაგრამ არა! გადარინელები შიშში ჩაკვიდნენ იმ დღეს ნანახით და გაგონილით, აუტანელი ძრწოლა შეუდგათ ქრისტესთან ახლო ყოფნის გამო, საოკარმა მოუსვენრობამ მოიცვა მათი გული და გონება და ყველამ ერთხმად შესთხოვეს უცხო სტუმარს „რათა წარვიდეს მათგან“!

გასაოკარია, ძვირფასო მსმენელებო, ადამიანთა ასეთი საქციელი, მაგრამ, როგორც ხედავთ, შეუძლებელი კი არა ყოფილა იგი კაცის ცხოვრებაში. კაცი იმას ემსახურება, იმას ეტანება და ეტრფის, იმის შექმნას ცდილობს, იმას აფასებს, იმითი კმაყოფილდება და ნეტარობს, რაც თავისი არსებობის მიზნად დაუსახავს მას, რაშიაც ცხოვრების აზრს ხედავს, რასაც იდეალად იხატავს, რაც უმალეს ბედნიერებად მიიჩნია. ერთი სიტყვით, კაცი მუდამ იმ მხარესაა დახრილი, საიდანაც მისი იდეალია აღებული. საკერავეს რომ ჰკერავენ, საითაც ნემსს გასწევენ ხოლმე, ძაფიც იქით მისდევს: ზემოთ ამართავენ ნემსს — ძაფიც ზემოთაა მიმართული, გვერდზე გასწევენ — ძაფიც ამ მიმართულებას ღებულობს, თავქვე დაუშვებენ ნემსს და ძაფიც თავქვე ეშვება. აი კაციც ასეთი ძაფია თავისი სოფლმხედველობისა, თავისი იდეალისა და უმალეს ბედნიერებაზე წარმოდგენისა. თუ დაბალი, ბნელი და პირუტყვეულია ჩვენი იდეალი, ჩვენი სახელმძღვანელო ნანატრი, მთე-

ლი ჩვენი ცხოვრებაც, ჩვენი მოქმედებაც და მიმართულებაც დაბალი, ქვებუდანი და პირუტყვეული იქნება. წინააღმდეგ ამისა, ნათელი, მაღალი, კეთილი, საღმთო და კაცთმოყვარული იდეალი მთელს ჩვენს ცხოვრებასაც უსათუოდ სიკეთისა და სინათლის წყაროდ გარდაქმნის.

ეს აზრია გატარებული ქრისტეს სიტყვებში: კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღოს კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღოს ბოროტი (მათ. 12, 35). რაც კაცის გულის შინაარსს შეადგენს, ე. ი. რაც კაცს იდეალად დაუსახავს, ისა მისი საუნჯე. ამ საუნჯის თვისებაზე და ხასიათზეა დამოკიდებული კაცის სიკეთეც და ბოროტებაც, კაცის ცხოვრებისა და ყოფაქცევის სათნოება-სიფაქიზეც და გახრწნილება — ბიწიერებაც.

გადარინელების იდეალს შეადგენდა კუქმადარობა. გადარინელების გული და გონება მოკული იყო მხოლოდ კუქზე ზრუნვით; მათი შეხედულებით კაცი ის იყო, პატივი მას ჰქონდა და წასაბამ მავალითს ის წარმოადგენდა, ვინც უფრო დახელოვებული იყო კუქის საზრდოს შექმნის ხელობაში, ვინც თეთული ნაბიჯის გადადგმით ახერხებდა უსათუოდ თავის ჯიბის გაძლიერებას, ვისაც თავისი სიკოცხლის ყოველი წუთი გადადებული ჰქონდა მხოლოდ ოქროს მოგროვებისათვის, ვისაც გული უცემდა მართოდ უთვალავი ღორების შექმნისა და მათი ბატონ-პატრონად გახდომისათვის. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ გადარინელებმა ვერაფერი სახარბიელო ვერა დაინახეს რა ქრისტესაგან თავიანთი უბედური მეზობლის განკურნებაში, რომ ივინი შეძრწუნდნენ, რადგანაც ქრისტემ დაუღუბა მათ სიმდიდრის წყარო-ღორები, რომ მათ დაძვრა აუტანელმა შიშის ზარმა, როდესაც დარწმუნდნენ, რომ იესო ქრისტე ქადაგებდა ერთი მხრით ღვთის სიყვარულს, ღვთის შიშის ქვეშ ყოფნას, პირადი ცხოვრების ღვთისათვის სათნოდ მოწყობას და მეორე მხრით კაცთა შორის წრფელ სიყვარულს, ერთი მეორის დახმარებას

და ზნეობრივ სიტუაციას, როდესაც ნათლად დარწმუნდნენ, რომ იესო ქრისტეს ახალი მოძღვრება ნიადაგს აკლიდა და ძირიან-ფესვიანად პირველ დამხობას უქადა მათ ცხოვრებას!

წარვედ ჩვენგანო, ევედრებოდენ ქრისტეს მიწიერ ანგარიშებში ყურებამდე ჩაფლულად გადარინელები და იგიც სიტყვის შეუბრუნებლად გაშორდა მათ!

მაგრამ ვანა ჩვენ კი, ძვირფასო მსმენელებო, ბევრით რითამე გავირჩევით სახარებაში ნახსენები გადარინელებისაგან? ვანა ჩვენი გულები კი ცოტად არიან შებოქილნი მიწიერი საუნჯით, მიწიერი მიზილულობით, მიწიერი ანგირიშებით? ვანა ჩვენ კი დღე-მუდამ იმას არ ჩავგძახიან, იმას არ გვინერგავენ და იმაში არა გვეწვთნიან, რომ მიწამ ვაგვაჩინა და მართო მიწისთვინ უნდა ვცხოვრობდეთო, მიწაზე დავიბადენო და მიწაზედვე გათავდება მთელი ჩვენი არსებაო? ვანა ჩვენ კი, ჩვენი ცხოვრებით, ჩვენი საქციელებით, ჩვენი მოქმედებით გადარინელებივით არ ვდევნით ჩვენი ოჯახებიდან, ჩვენი საზოგადოებიდან და ჩვენი ქვეყნიდან იესო ქრისტეს? ვანა ჩვენში კი არ გაისმის: „შორს ჩვენგან ღმერთი, შორს ქრისტე, არ გვიდნა სარწმუნოება, მოვსპოთ ეკლესიები, მოვიშოროთ სამღვდელეობა“ და ბევრი ამგვარი უმსგავსობა?

მართალია, მოყვანილი ფრაზების მქადაგებლები ყველას არწმუნებენ, რომ ამას ეჩადივართ დაჩაგრულთა სასიკეთოთ, გადუხპირებული ცხოვრების შესასუბუქებლად, ადამიანთა გამოსახსნელად ზნეობრივი და გონებრივი სიბნელისაგან, ქვეყანაზე თანასწორობისა და ერთობის დასამყარებლადო და სხ. და სხ., მაგრამ ეს სულ სიყალბე და თვალმასხვევი ნიღაბია. ჩვენთვის სრულებით ცხადი და ნათელია, რაც ამოქმედებთ და რაც აღაპარაკებთ ჩვენი დროის ქრისტეს მდევნელებს. მათი საქციელი უმეტესად გამეორებაა სახარების გადარინელოთა სულის კვეთებისა. იგინი უარს ჰყოფენ ქრისტეს მოძღვრებას იმისთვის კი არა, რომ ამითი ვინმეს სიკეთის გარიგებას ფიქრობდნენ, არა, ამას სჩადიან იმის გამო, რომ გა-

დარინელების ცხოვრების კვალს ადგანან, რომ მათაც, როგორც გადარინელებს, მხოლოდ სააქაო სწამთ და ამიტომ, გადარინელებივით, მართო მიწას ჩასცეცებიან, მიწისკენ მიდრეკილან, მიწას ჩაჰკვრიან და მთელი თავიანთი არსებით მიწიერ ანგარიშებში ჩაფლულან.

მეტადინობა იმაზე, რომ გადარინელოთა მოძღვრება გამეფდეს ჩვენ ცხოვრებაში, მეტადინობაა კაცის გაპირუტყვევისა, ღია ქადაგება იმაზე, რომ კაცმა მოისპოს, გააქროს და არარად გახადოს თავისი არსების უძვირფასესი ნახევარი, სულიერი მხარე, ვაირყენას და შესაზარად დაიმახინჯოს საკუთარი ბუნება მასზე საუცხოვო ფერადებით გამოყვანილი ღვთის მსგავსების გადაფხეკით.

საზოგადოება, რომელსაც აურჩევია ამისთანა გზა ცხოვრებისა, ყოველგან მოსპობილა და უნიშანწყლოთ აღგვილა პირისაგან ქვეყანისა. ამას, არსობის კერაზე წყლის გადასხმას, ნაცარივით ქარის გაყოლებას, ძირიანად ამოვადებას და განადგურებას გვიბადებენ ჩვენც **გადარინელობის** მოციქულები, ქრისტიანობის მდევნელები.

ტყუილ-უბრალოდ ნურავინ ნუ წამოაყენებს, ვითომც ჩვენ ვქადაგებდეთ უსაქმურობას, გულხელდაკრეფილობას, საიქიოზე ოცნებას, მართო ცისაკენ ცქერას და ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე გულის აკრუებას. არა, ეს ნამდვილი უკულმართობაა და ასეთი უკულმართობისათვის არავითარი ნიადაგი არ მოიძიება ჩვენი სარწმუნოების მოძღვრებაში. პირიქით, კაცს ყველაზე უპირველესად სწორეთ შრომა, ფიზიკური მუშაობა, გამრჯელობა და მომჭირნობა დაევალა შემოქმედისგან. სამუშაოდ და სამოქმედოთ მისცა კაცს ღმერთმა ედემის ბაღი, „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო, ებრძანა ღვთისაგან სამოთხიდან გამოდენილს ჩვენს წინაპარს, „მხნე იყავ და განძლიერდევ“, ხშირად გვაგონებს ეკლესია, „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსქამნო“ (2 თეს. 3, 10). ვკმოდვრის მოციქულთა თავი პავლე და სხ.

აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები, იობი, ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათიელი და ბევრიც

სხვები კი ქონების პატრონები იყვნენ თავიანთი დროის კვალობაზე და მაინც ღვთის სათნო კაცები იყვნენ. ღვთის მეგობრებად იწოდებოდნენ და ჩვენთვის მისაბამ მაგალითებად ითვლებიან. ვადარინელობა, ე. ი. მარტოდ პარტო კუჭის სამსახური, არსებობა მხოლოდ კუჭის საზრდოს შესაძენი სიმდიდრის პატრონად ვახლომისათვის, ცხოვრების უმაღლეს იდეალად ოქროს მთების შეძენის დასახვა, „გამდიდრება არა ღვთისამიერ,“ ესაა უბედურობა, ესაა ბოროტება, ესაა საშიში და არა სიმდიდრის პატრონობა საზოგადოთ, არა სიმდიდრის შეძენაზე ნორმალური შრომა და მეცადინობა.

სიმდიდრე, თუ უზომოდ და გადაჭარბებულად ზრუნავენ მისი გამრავლებისათვის, თავისთავად ჰკარგავს ღირებულობას და უფარვისი ხდება კაცისთვის. რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იხლეოს? ანუ რა მიჰსკეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა? (მათ. 16, 26) ოქროს სიტყვებია ეს სიტყვები და ყველას განუშორებლად გონების თვალთ წინ უნდა გვედგას იგინი, რომ სამძიმოთ არ დაგვრჩეს, როგორც ვადარინელებს, იესო ქრისტესთან ახლო ყოფნა. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ზნეობა.

წასუხად ბ. გამართელის წერილისა „ოჯახის ზნეობრივი მხარე.“*)

ბ. ი. გომართელი ბძანებს: „ზნეობის მიზანი კერძო პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობაა... ყოველი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ამ კეთილდღეობას, ითვლებოდა და ითვლება ზნეობრივად, ხოლო ყოველი მოქმედება, რომელიც წინ ელობება ამ კეთილდღეობას, ითვლებოდა და ითვლება უზნეოდ“....

სრულებით შემცდარ და შეუწყნარებელ

*) იხ. „ზინაური საქმეები“ № 29.

აზრს გამოსთქვამს ბ. გომართელი მოყვანილი სიტყვებით. შეუძლებელია ამ გვარად განმარტება ზნეობის მიზნისა და ასე გავება თვით ზნეობისა. არასოდეს მოქმედების ზნეობრივი ღირებულობა არ გაიზომება იმისდამიხედვით ხელს უწყობს იგი თუ წინ ელობება ვისამე კეთილდღეობას. ხშირად ზნეობრივ მოქმედებას და კეთილდღეობას ისეთივე სიახლოვე და დამოკიდებულება აქვთ ერთმეორესთან, როგორც, მაგალითად, ს. ლილოში მეხანულეთა²⁾ დაარსებას და ბულგარელებისაგან აღრიანოპოლზე იერიშის მიტანას. ავიღოთ სულ უბრალო მაგალითები. ვინ არ იცის, რამდენად სასარგებლო და ხელშემწყობია როგორც კერძო პირისა, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის გაყვანა რკინის გზებისა, გამართვა ნაოსნობისა, ტრამვაებისა, სტამბებისა, ორთქლით მოქმედი სამეურნეო იარაღებისა და სხვა ამ გვარებისა, მაგრამ განა ამ საქმეების დამწყებთ და მაწარმოებლებს ზნეობრივი მოტივები და მოსაზრებანი ამოქმედებენ? განა ინჟინრები ტენიკები, მეხანიკები და სხვანი, რომლებიც სხვა და სხვა სასარგებლო იარაღებს იგონებენ და მართავენ გემებს, ტრამვაებს, აეროპლანებს და მისთანებს სულ მაღალი ზნეობის ხალხია, სულ ზნეობრივი მოსაზრებით ხელმძღვანელობენ თავიანთ მოქმედებებში? თქვენ არ მომიკვდეთ, არა. ჩამოთვლილი ხელობის პირებს ამოქმედებდა და ამოქმედებს, თუ არა მარტოდ მარტო, უმთავრესად მაინც ვაჭრული ანგარიში, სურვილი თავიანთი თანხის გადიდებისა, ჯიბეში მომეტებული ოქროს ჩაჩხრიალებისა და გასუქებისა. ან ვინ არის ისეთი, რომ შემანქანების მოქმედებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კერძო პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობას, აფასებდეს ზნეობრივი მხრით? არ ვიცი, იქნება ქვეყანაზე არსებობს სადმე ისეთი ენა, რომ თუ არა ზნეობრიობის გამოსახატი სიტყვით, სხვაფრივ იმ ენაზე ნაჩვენები პირების მოქმედება-

2) ხანული ერთგვარი კავშირია მეზობლებისა, რომლის ძალით ერთი მეორეს რძეს ასესხებენ, რომ მალე შეუდგეს საკმაო რძე ერბოს შესადღებად. რედ.

თა ნამდვილი დახასიათება შეუძლებელია, მაგრამ ქართული ენა ღვთის მადლით, ამ მხრივ არავითარ სიღარიბეს არ განიცდის და ზემოთ ჩამოთვლილ პირების მოქმედებათა ზედმიწევნით დასახასიათებლად ხმარობს ტერმინებს — სასარგებლო, სახეირო, გამოსადეგი და სხვ. ბ. გომართელი ბანკის ქალაქდებოვით ურევს ერთმანეთში სხვადასხვა ბუნების ცნებებს — ზნეობას და სარგებლობას და ამის გამოა, რომ თითონაც იბნევა და სხვებიც შეცდომაში შეჰყავს.

თქვენ გვიბძანებთ — რაც ზნეობრივია, უსათუოდ; თავისთავად სასარგებლოც არისო. გეთანხმებით, ყველაფერი ზნეობრივი ნამდვილათ სასარგებლოც არის, მაგრამ ნათქვამის გადაბრუნება და იმისი თქმა, რომ ყველაფერი სასარგებლო კერძო პიროვნებისა თუ საზოგადოებისათვის ზნეობრივია, აშკარა შეცდომა იქნება. პირ იქით, მაღალი ზნეობისა, ნათელი აზრებისა და ღიადებული მიზნების მატარებლებს და მოციქულებს იშვიათად შეხვედრიათ წილათ პირადი კეთილდღეობა. რა კეთილდღეობა შეიძინეს თავიანთი უმაღლესი ხარისხის ზნეობრივი მოქმედებით, მაგალითად, ჰუსსმა, გალილეიმ, აქიმმა ჰაზმა და მათმა მსგავსებმა? ჩვენ ვიცით, რომ თეოდორე პეტრესძე ჰაზი მეტად გამოცდილი და განვითარებული მკურნალი იყო; მას სულ ადვილათ და მოკლე დროში შეეძლო გაეჩინა მოსკოვში ფართო პრაქტიკა, შეეძინა დიდი ქონება და მისცემოდა იმ გვარსავე განცხრომითი ცხოვრებას, როგორსაც ეწეოდნენ და ღლესაც ჩვეულებრივად ეწევიან მისი პროფესიის კაცები. მაგრამ ჰაზმა უარ-ჰყო ეს გზა; მან პაციენტებად აირჩია მოსკოვის ბნელი ქუჩების და ქალაქის განაპირა უბნების ლატაკი მცხოვრებნი. ის არამც თუ არაფერს არ ღებულობდა ავადმყოფებისაგან, ბევრს წამლის ფულსაც თითონ აძლევდა, ბევრს თითონ უზიდავდა თავის სახლიდან ჩაის, შაქარს, პურს და სხვა სანოვავეს. ამნაირმა საქციელმა ბოლო მოუღო კეთილი აქიმის მამა-პაპეულ თვალსაჩინო სიმდიდრეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ გაქირავებულთა უხვ შამას თითონ

უკიდურეს სიღარიბეში ამოხდა სული. როგორც ვხედავთ. ჰაზის საქციელი არ იყო სრულებით ხელის შემწყობი მისი პირადი კეთილდღეობისათვის, ამ საქციელმა ხელიდან გააშვებინა და გაუქრო მას შემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე. წერილის სათაურში მოყვანილი ბ. გომართელის მსჯელობით რომ ვიხელმძღვანელოთ, ჰაზის საქციელი უნდა დავგმოთ და უზნეოდ გამოვაცხადოთ!

მართალია, გომართელი თავის წერილში იხსენიებს: „როცა ერთიმეორეს უპირდაპირდება პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, მაშინ უპირატესობა ეძლევა მთელი საზოგადოების კეთილდღეობას და როცა პიროვნების არა თუ კეთილდღეობა, თვით სიცოცხლეც მსხვერპლად ეწირება მთელი საზოგადოების კეთილდღეობას, ამაში ჩვენ ვხედავთ ზნეობის უმაღლეს გამოხატულობასო“, მაგრამ ეს მხოლოდ წკრიალა სიტყვებია და სხვა არაფერი. რისთვის უნდა შესწიროს კერძო პიროვნებამ თავისი კეთილდღეობა და სიცოცხლე საზოგადოების კეთილდღეობას? რომელმა მოსაზრებამ და რწმენამ უნდა დააყენებოს კერძო პიროვნებას საზოგადოების კეთილდღეობა თავის საკუთარ ბედნიერებაზე, სიამოვნებაზე და სარგებლობაზე მაღლა? რა ძალამ უნდა ჩამბეროს მე, კერძო პიროვნებას, დავიწყება ჩემი ბედისა საზოგადოების კეთილდღეობის გულისათვის? ნუ თუ მე უბრალო ნივთი ან იარაღი ვარ, რომ საზოგადოებამ მიხმაროს თავისი კეთილდღეობის გასარჩევად საშუალებად? პიროვნების არსებობას თითონ აქვს საკუთარი აზრი და დანიშნულება, მისი მოქმედება ჯერ მისთვის უნდა იყოს საკეთილდღეო, წინაღმდეგ შემთხვევაში მტკნარი უაზრობა იქნებოდა ვისმეს კეთილდღეობაზე ზრუნვა და თავის გამოღება. აქ თავისთავად გვაგონდება ტურგენევის რომანის „მამები და შვილების“-ს ცნობილი გმირი ბაზაროვის მსჯელობა: — თუ კი მთელი ჩემი არსებობა ბოლოს იმითი გათავდება, რომ მხოლოდ ძროხის მოსაძოვარ ძირბვენად გადავიქცევი, მაშ რა ტუტუცი ვიქნები, რომ თავი ვავიცხელო ვიღაც სიღარიბისა, პროზორო-

სა, ვინდა მათ მსგავსთა მთელი ჯგუფის ბედნიერებაზე ზრუნვითა და ფიქრითო. იმ ნიადაგზე, რომელზედაც ბ. გომართელი სდგას, იგი კრისტსაც ვერ დასძრავს ბაზაროვის მსჯელობის საწინააღმდეგოდ.

იქ, სადაც კაცის მოქმედება ფასდება გარეგნული მიზნის მიხედვით, ეშპირიულად. იმ თვალსაზრისით სასარგებლოა იგი თუ საზარალო ვისიმე კეთილდღეობისათვის, ზნეობა ქრება, იკარგება თვით კეთილისა და ბოროტის შორის განსხვავება. გომართელის მსჯელობა, რომ ზნეობრივია ისეთი საქციელი, რომელსაც შედეგად მოსდევს კერძო პიროვნებისა ან მთელი საზოგადოების კეთილდღეობა და უზნეო ისეთი, რომელიც წინ ეღობება ვისამეს კეთილდღეობასო, ცხადი სიყალბეა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არავითარი გარჩევისა და ზნეობრივი განსხვავების დადება არ შეიძლებოდა ისეთ პირობის მოქმედებათა შორის, რომელთაგან ერთი ქველმოქმედობს, თავდადებულად შრომობს და მეცადინობს ძმათა საკეთილდღეოდ, თანახმად სახარების ბძანებისა, უჩინრად ფარულად, სითავმდაბლით, უანგაროდ, მეორე კი ამასვე სჩადის კაცთა დასანახად, სახელისა და დიდების მოსახვეჭად, თავის გამოსაჩენად, ფარისევლობით და ამაჟობა-ამპარტაუნებით. ან კიდევ შეფასება ისეთი დანაშაულისა, როგორიც არის მკვლელობის ჩადენა ერთი მხრით უნებურად, უცაბედად, მარცხად, მეორე მხრით კი წინაგანზრახვით, შეგნებით და სრული მოფიქრებით. როგორც პირველ შემთხვევაში დასახელებული პირობის მოქმედებათ ორივეს ერთი და იგივე საკეთილდღეო შედეგი აქვთ სხვებისთვის, ისე მეორე მაგალითის პირობის მოქმედებანი თანაბრად და გაურჩევლად საზარალოა სხვებისთვის; მაშასადამე, გომართელს რომ ვენდოთ, პირველი მაგალითის ორთავე პირობის მოქმედება უნდა ვიცნოთ ზნეობრივად და მეორე მაგალითის ორივე შემთხვევანი უზნეოდ! ორივე შემთხვევაში ჩანადენთა გარჩევა აღარ არის. კაცის მოქმედებათა ზნეობა-უზნეობის გამჩრევი, ადამიანთა საქციელის ამწონდამწონი, ზნეობრივი ღირებულობის გადამწყვე-

ტი, მოწონებისა ან წუნის დამდები კაცის შიგნით არის და არა კაცის გარეთ. იგი თანშობილი მხარეა კაცის სულისა და სახელად ეწოდება ზნეობრივი ალლო, ზნეობრივი მიხვედრილობა, ზნეობრივი შთაგონება, ზნეობრივი ინტუიცია. ეს სულიერი ძალა, ეს ინტუიციაა, რომ აიძულებს ყოველ ადამიანს, რათა მოიწონოს და ზნეობრივად ძვირფასად სცნოს მარტოდ-მარტო ის მოქმედებანი, რომლებიც გამომდინარობენ ადამიანის სულის სიღრმიდან, რომლებიც მაჩვენებლნი და გამომხატველები არიან კაცთა გულთნადებისა, რწმენისა და სულიერ ძალთა შორის განწყობილებისა, მიუქცევლად ყურადღებისა იმაზე ხელს უწყობენ თუ წინ ეღობებიან იგინი ვინმეს კეთილდღეობას. როგორც ყველაფერი გარეშე ბუნებაში, ისე კაცთა საქციელნი, თავისთავად არც კეთილია და არც ბოროტი, არც ზნეობრივია და არც უზნეო. ასეთი თვისებისანი ხდებიან კაცისათვის მისი და სხვების საქციელნი მარტოდ-მარტო იმ შინაგანი მოტივების მიხედვით, რომლებიც აღძრავენ სამოქმედოდ მის ნებას, რომლებიც იწვევენ მასში ამ საქციელებს. გარეშე ამ პირობებისა ზნეობას ალაგი არა აქვს. ეს საზოგადო კანონია ზნეობისა და სახელოვანი ფილოსოფოსის კანტის მხრივ იმითაა დავალებული კაცობრიობა, რომ იმან პირველმა აღნიშნა ეს. პირველმა დაგვანახა ცხადათ, რომ ზნეობის ცენტრი პიროვნების, სუბიექტის შიგნითაა და არა მის გარეშე.

ბ. გომართელის წერილი საესეა შეცდომებით, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ნათქვამით ვათავებთ მის გარჩევას.

სემეველი.

კარეკნულმა ჰნოკრესმა დაუასლავა თუ არა კაცობრიობა ბედნიერებას?

რამდენი საჩივარი ისმის დღეს ყოველგნოც ცხოვრების შესახებ.

იაროში ამბობს: „თანამედროვე ევროპა, ხელახლა განიცდის ისტორიულ კრიზისს ცხოვრების საშუალებათა უმაგალითო განვითარებას-

თან, სწავლა-მეცნიერების სიმდიდრის შეძენასთან, ევროპის საზოგადოებაში შენიშნავთ უეჭველ ღრმა სულის დაცემას.

ყოველგან გაქრა უღარდელი სიცილი და მხიარულა მოლოდინი „ხვალინდელ დღისა“. „ჩვენ თვალთ ვხედავთ უდიდეს სულიერ ტანჯვას რომელსაც განიცდის, არამც თუ კერძო პირი ანუ რომელიმე ერი, არამედ მთელი განვითარებული კაცობრიობა“, სწერს გროტი.

ცნობილი გენრი ჯორჯი ამბობს. „ხმაურ სატახტო ქალაქების ასფალტით მოლესილ და ელექტრონის ფარნებით გაბრწყინვალეულ ქუჩებში, ყველგან ჩვენ ვხედავთ მოლოდინ, მოშულულ, გაკრეცილ და ნაღვლით სავსე სახეებს. ამდენ აუარებელ სიმდიდრეში, ადამიანები კვდებიან მშვიდრად, დაავადყოფებულნი ბავშვები სწოვენ გამოშრალ და ჩამოშკნარ ძუძუებს დედებისას; დამქირავებულნი მისჩერებიან დაქირავებულთ, როგორც მესხანეურ ძალას, რომელმაც უნდა მოუტანოს მას, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა.

აქედგან, ბუნებრივად იღვიძებს მუშის გულში შური და მძულეარება დამქირავებლისადმი. აქედამვე ჩნდება გაფიცვანი, აკლება ქარხნებისა და საწარმოო დაწესებულებათა.“

„აფეთქებანი, ამბოხება, ცარცვა-გლეჯა და სხვა ამგვარი დანაშაულობანი, თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულან,“ ამბობს ნებლიუევი.

„განათლებული კაცობრიობა განიცდის მძიმე ზნეობრივ კრიზისს“ ამბობს ტერნაეცევი.

„სული ენთება რაღაც უმაღლესი საჭიროებით და არა საკუთარ ცოდნა განათლების სიმდიდრით. მთელი ცოდნა, თავის ათას გვარმეცნიერებით, რჩება ცალიერი, მოკლებული ადამიანურ თვისებას, ვინაიდგან უღონოა, ახსნას დღევანდელი რყევა-ძიება კაცობრიობისა, შესახებ ჩვენი არსებობის უმაღლესი დანიშნულებისა. ინტელიგენციის სოციალური გეგმა ირღვევა; სხვათა განათლება-გათანაზიარება შენი მსოფლ მხედველობის სიმდიდრისა, შეუძლო შეიქნა, ვინაიდგან თითუელთა მსოფლმხედველობა ოცნებათ არის ცნობილი სინდისისაგან.

თავის ძალაში, ეხტიბარ-გატეხილი ინტელიგენცია დღეს სულიერ გათახსირებაში იმყოფება“, შენიშნავს ნორდაუ.

არსად წყნარი და მშვიდი მუშაობა, არსად სათნოიანი სიყვარული, არსად ძმობა, არსად ერთობა; არამედ ბოროტება-მძულეარების დაუშრეტელი წყარო. ყველა ელის მოუთმენელად ახალ ბედნიერ ხანას.

იათოზი.

მიტროპოლიტ ანტონის სიკუდილის გამო.

უქაზისა მებრ მისის იმპერატორობითი უდიდებულესობისა უწ. და მართებელმა სინოდმა მსჯელობა იქონია მიტროპოლიტ ანტონის გადაცვალების გამო, რომელიც მოხდა 2 ამა ნოემბრის და დაადგინა: 1) მიტროპოლიტ ანტონის გადაცვალების შესახებ ეპარხიის მღვდელმთავრებს ეცნობოს „Церков. Вѣдом.“ საშუალებით იმ იმედით, რომ იგინი ამ ცნობის მიღების შემდეგ არ დააყონებენ და მხურვალე ლოცვას აღავლენენ უზენაესის წინაშე განსვენებულ იერარხის სულისათვის, რომელიც 29 წელიწადი ემსახურა წმ. ეკლესიას, 2) დაჯარძალვა და წესთ აგება შეასრულონ პეტერბურგში მყოფმა ეპისკოპოსებმა იმ ეპისკოპოსთა თანდასწრებით, რომელნიც მოვლენ პეტერბურგში ამ შემთხვევის გულისთვის, 3) დაიმარხოს გარდაცვალებული იქ, სადაც მან განაცხადა სურვილი დასაფლავებისა, სახელდობრ ლავრის საძმო სასაფლაოზე, მორიგ საფლავში, და 4) ახალ მწყესმთავრის დანიშვნამდი, ნაცვლად გარდაცვალებული მიტროპოლიტისა ანტონისა, დროებით მართვა გამგეობა პეტერბურგის ეპარხიისა და ალექსანდრე ნეველის ლავრისა მიენდოს ამ ეპარხიის პირველ ქორეპისკოპოსს ყოვლადსამღვდელო ნიკანდრს, ნარვის ეპისკოპოსს.

როგორც კი მიიცვალა მიტროპოლიტი ანტონი, ალექსანდრე ნეველის ლავრის გამგეობამ აცნობა ისააკის საკრ. ტაძრის წინამძღვარს და ყველა სატახტო ქალაქის ეკლესიების წინამძღვრებს, რომ მათ თორმეტჯერ ზარის შე-

მოკვრით აცნობონ მცხოვრებლებს სამწუხარო ამბავი მიტროპოლიის თავის გადაცვალებისა.

პეტერბურგის ეპარხიის დროებით მმართველმა ეპ. ნიკაღრმა 2 ნოემბერს ტელეგრაფით აცნობა ყველა ეპისკოპოსებს უწმ. სინოდის უპირატეს წევრის ყ-დ. სამღვდლო მიტროპოლიტის ანტონის გარდაცვალება. განსვენებაზე დასასწრებათ ჩამოვიდნენ ბევრი მღვდელმთაფრები—მოწაფეები განსვენებული მღვდელმთაფრისა.

მიტროპოლიტი ანტონს, როგორც ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წლიური შემოსავალი ოთხმოც და ათი ათას მანეთს აღემატებოდა, არაფერი ქონება არ ღირსეულია. განსვენებული მთელ თავის შემოსავალ ფულებს აძლევდა საკველმოკმედო დაწესებულებებს პეტერბურგში და სხვა ქალაქებში. მიტროპოლიტი ანტონის სტიპენდიით ბევრი სწავლობდა თურმე უმაღლეს სასულიერო და საერო სასწავლებლებში. მიტროპოლიტი ერთი უმთავრესი მოკმედ წვერთაგანი იყო საიმპერატორო კაცთმოყვარეობის საზოგადოებისა. წასული საუკუნის მეორე ნახევრის ყველა ყოფილი მიტროპოლიტები დამარხული არიან განსაკურებულ საფლავში, რომელიც მოწყობილია წმ. ისიდორეს ტაძარში. მიტროპოლიტმა ანტონმა, რომელიც მთელ თავის სიოაცხლემში განიჩიოდა სიმდაბლითა და უბრალოებითა, მოსურვეთა დამარხულიყო ალექსანდრე ნეველის გარდაცვალებულ უბრალო ძმათა შორის.

განსვენებული თავის ანდერძში თხოულობს დამარხონ უბრალო ხის კუბოში, რომელიც არ უნდა იყოს შემკული გვირგვინებითა და ყვავილებითა. მიტროპოლიტი თხოულობს შეამკონ მისი საფლავი უბრალო ხის ჯვარით. შემდეგ თავის ანდერძში მიტროპოლიტი სთხოვს ყველა თავის ნაცნობთ აპატიონ ყველა ნებსითნი და უნებლიეთნი შეცოდებანი მათ წინააღმდეგ ჩადენილნი. ლავრის ძმებს უანდერძებს იცხოვრონ ურთიერთ შორის თანხმობით და სიყვარულით და არ დაიფიწყონ იგი თავის ლოცვაში. თავის მდიდარ და მრავალ ფერო-

ვან წიგნთსაკეს. იგი უანდერძებს მშობელ ტაძრის სემენარიის, სადაც საშუალო განათლება მიიღო. რაც შეეხება შესამოსლებს, ჯვრებს, და სხ., მისი სურვილისამებრ ესენი უნდა გაუნაწილონ კანანის და პეტერბურგის სასულიერო აკადემიებს და ალექსანდრე ნეველის ლავრას.

ახლო-მასლო.

ჩინეთის ბრძენს, — კონფუციუსის ჰკითხა ერთხელ მისმა მოწაფემ — კი-ლუმ: „როგორ უნდა ვემსახუროთ სულელებს?“ — მოძღვარმა მიუგო: — „როცა ჯერ კიდევ არ იციან, როგორ ემსახურონ კაცობრიობას, როგორ შეუძლიათ დაიჩემონ სულელების სამსახური?“

— რა არის სიკვდილი? — ჰკითხა კიდევ მოწაფემ.

— როცა არ იციან რა არის სიცოცხლე, როგორ შეუძლიათ სიკვდილზე იცოდნენ რამე? — მიუგო ბრძენმა.

სამსახური სულელებისა — ჩვენებურად, ღვთისა.

უნდა ვისწავლოთ სამსახური კაცისა, თუ გვსურს შევიგნოთ სამსახური ღვთისა.

ქრისტე გვიბრძანებს: — „თუ ჩემი სახელით ვინმეს ემსახურებთ, მით მეც ემსახურებთ.“ — ემსახურე „ერთსა ამას მცირეთაგანს“, თუ გსურს ემსახურო ღმერთსაც. აი, მოკლედ და გასაგებად.

სიკვდილი?

„თუ სიკვდილის საიდუმლოება გსურს გაიგო, — ეუბნება კონფუციუსი თავის მოწაფეს, — უნდა იცოდნე რა არის სიცოცხლე.“

აბა რა სიცოცხლე იყო, სიცოცხლე იმ ღვთისა, რომელსაც ღრმად გაეღვა ფესვები მიწაში. ლამაზი შტოები მალდა აეშვია, მშვენიერი ფოთლებით შემოსილიყო, რომელმაც თავის გარეგნულ სისაღით მიიზიდა თვით ქრისტეს ყურადღება და ზედ ერთი ნაყოფიც არ ესხა, რომ მშიერს მითი გული მოებრუნებია?!

რა თქმა უნდა, ღვთის არ შეეძლო სიკვდილზე ეთქვა რამე, რადგანაც არ იცოდა რა

იყო სიცოცხლე! ქრისტეს სიტყვით, ის გახმა, მოკვდა და თან წაიღო აუხსნელი საიდუმლო.

არ შეეძლო სიცოცხლეზე ეთქვა რამე არც იმ მდიდარს, რომელიც, ქრისტეს იგავით ყოველ დღე უუძვირფასესი ტანათ-საცმელით ამოსებოდა, ყოველ დღე განუსაზღვრელი ღვინო და შეტყევა ქონდა გამართული: აძლევდა იმას, ვინც უმისოდაც მადლარი იყო და მშვიერ გლახაკს— ლაზარეს პურიც არ მოუტეხა!...

სწორედ არ შეეძლო მას სიკვდილზედაც რამე ეთქვა!

კოლოფი თავის-თავად იღება: —ჩვენც ისე უნდა ვიზრუნოთ სხვისთვის, როგორც ჩვენ გვინდა სხვამ იზრუნოს ჩვენთვის. — მაშინ და მხოლოდ მაშინ „სასუფეველი ღვთისა დაისადგურებს ჩვენში“.

სამსახური ღვთისა?! გაგება სიკვდილის?! — და განა ეს ყველას შეუძლია? უშუალოდ ყველას... მხოლოდ, აქ თავის-თავად იბადება ახალი კითხვა: — თვითცნობიერება... „ყოველ ლურსმანს თავის ადგილი აქვსო“, — იტყვიან: დიდი იქ ვერ გამოდგება, სადაც პატარა და პატარა იქ უნაყოფოა, სადაც დიდი... შეუსაბამო იქნება, ბელურამ სირაქლემის კვერცხის დადება განიგულოს, როგორც ახირებულია, რომ სირაქლემამ დიდის კრუსუნ-გრუხუნით ბელურას კვერცხი დასდოს...

საქმე ისარის, განვითარებულმა თვით-ცნობიერებამ მოწოდებამდის მიგვიყვანოს!... მაშინ ყველა თავ-თავის ადგილს დაიკავებს, მით ცხოვრება გაადვილდება და ნაყოფსაც შეტის მივიღებთ; მაშინ ადვილად ავხსნით ბრძენის სიტყვებს და ქეშმარიტად შევასრულებთ ქრისტეს მცნებებს... მაშინ თუთიყუში გზას დაუთმობს მოწოდებით მასწავლებელს, კაკაკი მოძღვრის ადგილზე არ წამოსკუბდება, მამალი ლობარობას არ შეეცობება, ვირი თავ კაცობას, ღამურა მოწინავეობას და სხ... ღვთის სამსახურიც ეს იქნება და ცხოვრების კოდნაც. მაშინ ყველას ეცოდინება, რომ სიკვდილი შესვენებაა; არა ვინ შეუშინდება ბუნებრივ სიკვდილს და არც არაფერ შეეგებება მას ძალდატანებით, მაგრამ რას ვაშობო? სხვის ქურქის წამოსხმა საზოგადო

სენია ყოველ წრეში, ყოველ დაწესებულებაში, ყოველ წოდებაში, ოჯახში, სოფლად, ქალაქად, ყოველ ნაბიჯზე.

მე ვილაპარაკებ ჩვენ წრეში.

გაიხვდავ. ყველას უნდა მღვდლობა, სოფლის მასწავლებლობა!...

— მერე ვინაა ეს ყველა? — იკითხავთ თქვენ.

ვინც თქვენ არ გინდათ. ისეთიც კი. ვინც ამდღვილად საგიჟეში უნდა იჯდეს. — მერე რა გგონიათ?... ჩინებულად აღწევენ მიზანს.

მოვიყვან ერთ მაგალითს, მხოლოდ ერთს, რომ წერალი არ გაგრძელდეს: — სამასწინეთ, ერთი დასჯილი (გადაყენებული) ახალგაზდა მღვდელი შემხვდა, ახლა ხან პეტერბურგიდან დაბრუნებული. — მაზე მეტად სქელი საქმე შემდგარიყო და დაესაჯათ... ის მაშინვე პეტერბურგში გაქცეულიყო, რომ იქიდან მეხი დაემინა იმ შენობისთვის. საიდგანაც მისი დასჯა გამოვიდა... ამ მღვდელს ერისკაცობაშიაც ვიცნობდი: რუსის მონასტერში საღმრთო წიგნების კითხვა ესწავლა და მღვდლობას ცდილობდა. მართალი მოგახსენოთ, მეტად ცუდლულუტა; და კინტუა ბიჭად მომჩვენა: შეუსაბამო სიტყვა-პასუხი, შეუფერებელი მსჯელობა, ბრიყული სიტყვები და წერს გადასული მეტიჩრობა რაღაც საეჭვო ხასიათის და მიმართულების ადამიანად ხდიდნ მას.

— რა ქენით მამაო, პეტერბურგში? რა გააკეთეთ? — თანაგრძნობით შევეკითხე მე.

— ის გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებია!

ამაყით წამოიძახა მან. მერე მოყვა და ჩამოთვალა ვისთანაც ყოფილა; ასე გახსნივეთ, ახსენა თვით ქვრივი დედოფალიც, რომელსაც თურმე ბრწყინვალედ მიუღია ის, როგორც თვითონ სთქვა და სხ. და სხ... ვხედავდი, რომ შეტის-მეტად ამარიღებდა მოსაუბრე და ისევ მის საქმეზე შევეკითხე.

ჩემი საქმე?!... თუ იქმნა რამე, ხომ კაი, თუ არა და ერთი მე ვარ დასჯილი და მე კი ათ სხვას დასჯი... რა უნდა გავაკეთო კაცმა ამ ვაფუქტებულ დროში? (გამოთქმა, ხმა და კილო შემაწუხებელი.)

—განა არ მოგწონს ეს ღრო?

—რა უნდა მოიწონო, რომ ყველა გაფუჭებულია, ყველა გათახსირებულია:—ჩვენი... ხომ გაფუჭებულია და გაფუჭებული; სამღვდლოება გაოხრებულია და ვინ გინდა რამე იყოს—რამე?!

—ოჰ, ფრთხილად მამაო, ფრთხილად!... სხვის გაფუჭებულობას მხოლოდ რჩეულნი დასტირიან... შეუტომელი და უცოდველი არავინაა, ყველა ცოდვებით სავსენი ვართ. მაგრამ უფლება არა აქვს იმას, ვისაც თვალში დვირე უძევს, უსაყვედუროს იმას, ვისაც ბეწვი უძევს თვალში.— შევნიშნე მე და მით დავიმსახურე მისი გულის წყრომაც.

—როგორ თუ? ვიზე ნაკლებ გაფუჭებულია ჩვენი...?

—შემეტარი აზრი გქონია... სენეკა ამბობს:—„ჩვენ ყველანი ავები ვართ; რაც ერთს ეზიზღება მეორისა, იმას ყველა მონახავს თავის საკუთარ გულში. ავები ვსცხოვრობთ შორის ავებისაო.“—მე ყველაზე მეტ ბრალიანად ვსთვლი ჩემს თავს და მხოლოდ თანაგიგრძნობ, მაგრამ ერთი-რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველიფერს თავის საზღვარი აქვს.—„უთავებოლო აზრი იმას უშვება ჩვენს ჭკუას, რასაც უზამს უთავებოლო კაცი ჩვენს ოჯახს, ჩვენთან ერთად საცხოვრებლად, ჩვენგან მოწვეულიო,“ ამბობს მეორე სწავლული—ლიუსი-მალორი.—„ვინც სიტყვით არა სცთება, ის სრული კაცი არისო“,—ამბობს პავლე მოციქული.

—ეჭე! ეს საიდან მომიყვა!—წამართვა სიტყვა მოსაუბრემ და ახირებული სახით დამაშტერდა.—შენ ჯერ არ იცი ქვეყნის ამბავი და, გეტყობა, ვერც გაიგებ. აქით ფოთს არ გასცილებიხარ და იქით თბილისს, იმისთანა კაცმა რა უნდა მითხრა და რა უნდა შემავონო! შენ ჯერ შემოიარე რუსეთი და მერე იტყვი მართალს!... დალოცვილი! თბილ ოთახში, თავის შესაკცევ საოხუნჯო რამეებს მომიყვა!.. მოკლილია ვინცხაა!—შემომსახა, შეტრიალდა და გამშორდა.

ახალი გიგი!

შედარებით, არაფერია ის, რომ კაცი სიავეს ჩადის, უბედურობა ისაა, რომ სიავეს ვერ ხედავს, შენანება არ უნდა, ბოროტი გზიდან დაბრუნებას არ ფიქრობს.

მიეცით ერთი ბეწო თვითცნობიერება დასჯილ მღვდელს, ის თავის თავს დასტუქსავს და უფრო მეტადაც დასჯის, ვიდრე დუსჯიათ... მაგრამ ანკი მეტი რა ქნას იმან, ვისაც თვითცნობიერება არა აქვს?... და საკვირველიც არ არის, რომ მაიმუნობა არჩიოს იმან, ვისაც თავისი თავი მაიმუნიდან წარმოშობილი ჰგონია! მისი ცხოვრების მიზანი მხოლოდ ძველი კერპთმსახურთა სიბრძნე არის:—„სვი, ჭამე! სულ ერთია, ხვალ მაინც მოკვდები.“—ქეშმარიტად მოკვდები და ბრძენი კონფუციც საფლავში ჩაგძახებს:—„არ იცოდი სამსახური კაცისა, ეგრე გაიგე თუ როგორ! სამსახურს ითხოვს ღმერთი: არ იცოდი რა იყო სიცოცხლე, ჩაღად ღირს შენი სიკვდილიც.“

სორტელი სტუმარი.

პრიტიკული შენიშვნები.

(„გრდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი 1.)

ქართველ პუბლიცისტს ბ. არჩილ ჯორჯაძეს ჟორჯის სიტყვები არაფრად მიაჩნია და გულუბრყვილობით ბრძანებს, რომ ეს სიტყვები „ჩვენ თითქმის არ შეგვეხებო...“

„ეურნალ-გაზეთების სფერაში იმის ცდაში უნდა ვიყოთ, (კეთილ-ხმოვანებისთვის სასიამოვნო არ არის ასე მიყოლებით გამოთქმა: **სფერაში, ცდაში**. ადვილად შეიძლებოდა ასე თქმულიყო: იმას უნდა ვცდილობდეთ), რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ფულის ზედ-გავლენას არ დაუქვემდებაროთ. ამის ასაცილებლად ერთად-ერთი საშვალეა გამომცემელ ამხანაგობის დაარსება. როგორც თანამედროვე მრეწველობაში წვრილ მესაკუთრეთა დაკავშირება და სამრეწველო და სამეურნო სინდიკატების და ამხანაგობების დაფუძნება **სხვილ კაპიტალიზმის წინააღმდეგ** (რეაქციონური სურვილებია) საუკეთესო ფარ-ხმალად არის ცნობილი, ისე გა-

ახალი ჟურნალი „განთიადი“

1913 წლის პირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ჟურნალთა ჟურნალი

„განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ლეთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო. დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უკმა დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშვილის და აშხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

რედაქტორ-გამომცემელი მლ. ს. შქედლიძე.



მომცემელთა ამხანაგობების დაარსება და ბეჭდითი სიტყვის წარმოების გასაზოგადობრივება მომავალში მწერლობას იხსნის კაპიტალის მონობისგან. *)

„კაპიტალის მონობისგან“, მაგრამ და გამწარებით კია ნათქვამი, მაგრამ...

ამიტომაც ჩვენი გულწრფელი პუბლიცისტი „ივერიის“ გამომცემელ ამხანაგობის დაარსებას დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევს და მის გამო სიხარულს გამოსთქვამს. მაგრამ, ჩვენ ვიცით, „ივერიის“ ამხანაგობამ ერთი წელიწადი

*) იხ. თხზ. არჩილ ჯორჯაძისა წიგნი მეოთხე.

ვერ იცოცხლა, სული განუტევა. ასეთივე საქმე დაემართა „მოამბეს“, რომელმაც, როგორც ვთქვი, მთელი საქმით მდიდარი და კარგად მოწყობილი ამხანაგობა გააკოტრა... ამნაირად, არჩილის გულწრფელ სიხარულს ჩვენმა საკუთარმა, ქართველთა ცხოვრებამაც კივი წყალი გადაასხა და... ჟორესის სიტყვები გაამართლა...

აქვე მსურს პირველი ჩაბეჭდილება, რომელიც ჩემში „გრდემლმა“ გამოიწვია, ვაუწყო მკითხველს. რაც თავი ჩემი მახსოვს და მიცნია. პირველიად ვხედავ ამოდენა ტანის, სულ 364

ვერდიან, ლამაზად დასტამბულს წიგნს, რომელიც ძალიან იაფადაც ღირს, ფასი აქვს 1 მ. 50 კ.

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების ამ გამოცემაში დამარწმუნა, რომ ჩვენში სალიტერატურო ასპარეზზე ნიჭიერად მომუშავენი საკმაოა, ამ მწერლებს ხალისი და ენერჯიაც შესწევთ მუშაობისთვის, რომ ვინმე ამ ძალებს თავს მოუყრიდეს, უხემძღვანელებდეს და ამასთანავე, რაც ყველაზე უფრო უპირატესია, მწერლებს თვისი ნაშრომის ფასად ჰონორარსაც გაუჩენდეს. მაშინ, თქმა არ უნდა, პოეზიის, კრიტიკის და პუბლიცისტიკის ტალანტი, შემოქმედობა ერთი ორად ღონიერად გაშლიდა ფრთას, გაიორკვეცებდა ძალას და მუშაობის უნარს და იმათი ნიჭებულობის ცეცხლი და ენტუზიაზმი ისე უცბათ და სწრაფადაც არ ჩანელდებოდა, დაშრტებოდა, როგორც ეს ხდება ხოლმე ახლა ჩვენში.

ამასთანავე მკითხველი საზოგადოებაც, რაკი დაინახავდა ლიტერატორთა ასეთნაირად დარაზმულ წრეს, რომელსაც სულით და გულით გადაწყვეტილი ექნება მშობელი ერის გულწრფელი სამსახური, რიცხვით ერთი-ორად გაიზღებოდა, ნივთიერად ჩვენს მწერლობას გაამაგრებდა, გააღონიერებდა, და ეს გარემოებაც, თავისთავად, წაახლისებდა პირველსაც და მეორესაც სამერმისო აღორძინებისთვის, წარმატებისთვის... მაგრამ ამაზე აქ კმარა ახლა და შევუდგეთ პირდაპირ... საქმეს.

პირველ ადგილზე **შიო არაგვისპირელის** „საშინელება!“. მასში აწერილი ამბავი, როგორც ავტორი გვარწმუნებს, ნამდვილი ამბავია და, ჩემი ფიქრით, ნამდვილ ცხოვრების განვლილ დღილიდან არის ამოგლეჯილი და „გრდემლის“ ფურცლებზე ნიჭიერადაც გადმოტანილი.

ვეთანხმები პატრიცემულ შიოს, რომ მის პატარა მოთხრობაში გამოყვანილი ყაჩაღი მიხო ნამდვილი ცხოვრების ამბავია და, ამნაირად, ეს მოთხრობა, რაც უნდა იყოს, საინტერესოც არის ქართველი მკითხველისთვის, რასაკვირველია. ამასთანავე, როგორც შეფერის შიო არა-

გვისპირელის დაწყნარებული, სიმპატიური წერის ლაზათს, საკმაოდ ლამაზადაც, თუმცა არა მხატვრულად, გადმოცემული აქვს მას სინაზე და მგრძნობელობა მიხოს გულისა, მისი ბუნების სიმშვიდე და უწყინარობა, რომელიც მხოლოდ და მარტო გამწარების, სასოწარკვეთილების ეამს სასიკვდილოდ თუ გასწირავს თავის დამღუპველს მტერს... თუმცა ეს სოფლის უწყინარი გლეხი დიდი გაჭირების დროს იცავს თავის თავს და მტერს იგერიებს, ესე იგი, იბრძვის ცხოვრებისთვის და ამიტომაც „**საშინელების**“ ქარ-ცეცხლშიაც არის ყოველ საათში ჩავარდნილი...

მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ვერ გავიგე, რისი, რომელი იდეის, ან საზოგადო სურვილების და იდეალების გამომხატველია ეს მიხო ამ დიდი ბრძოლის დროს და რა საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის იბრძვის. შიოს ყაჩაღი მიხო?

მე არ მესმის, რისთვის გამოუყვანია პატრიცემულ შიოს ეს სოფლის უვიცი, სრულიად გაუგებარი, წერა-კითხვის არ მცოდნე ტეტია, რომელსაც კაციც უნებურად შამოკვდომია და მერე, რაკი ადმინისტრაციას იმისთვის ტყვილაუბრალოდ რაღაც დიდი დანაშაულობა დაუბრალებია, იგი ტყვედ წასულა და ყაჩაღადაც გაეარდნილა, გადამტერებია სოფელ-ქვეყანას და მგელივით მოუსვენარ ცხოვრებას ატარებს.

ამ თვალთ რომ შევხედოთ შიოს პატარა მოთხრობას, მაშინ, მიუცილებლად, უნდა ვიკითხოთ, ვისთვის და არის საინტერესო და დიდათ ყურადსაღები ეს უაზრო, უპრინციპო, უიდეალო, ბუნების წიაღში დაბადებული მატჩოლი ყაჩაღი, რომლის მოქმედება და საქციელი არც გულს ეუბნება არაფერს, არც სულს. სულ მუდამ თვალში ამოჩემება სოფლელი უბიბრი კაცისა, ტეტის ცხოვრებისა იმ დროს, როცა ეს ცხოვრება ეროგვაროვან გახუნების მეტს არას იძლევა, — სხვა არა იყოს რა, უკან დახვევა ამ მწერლობისა, დაბრუნება იმ აზრებისა, რომელთაც, კაი ხანია, მოსკამტს დრო და ისტორიას ჩაბარდნ... ან და რათა გგო-

ნიათ, ნეტა, რომ სოფელიც დღეს ისევ იმ ცხოვრებით ცხოვრებდეს, როგორც ცხოვრობდა ამ ოცისა, თუ თუთხმეტი წლის წინათ? აბა, ღრმად ჩაუკვირდით დღეინდელ სოფლის ცხოვრებას და თქვენ დაინახავთ, რა ცვლილება, ღიფერენციაცია მოხდა სოფლის ცხოვრებაშიც, რა აზრები დატრიალდა მოზარდ თაობაში, რა შეხედულება დატრიალდა სქესთა, წოდებათა, მტერმოყვარეთა შორის. იქ ახლა სიყვარულიც სულ სხვაფერ ესმის, სიძულვილიც, ნათესაობაც და მეგობრობაც. აი, დახატეთ ეს ახალი ცხოვრება და არა ის მარტო და მხოლოდ; რაც თქვენზე უფრო კარგად, შნოიანად აუწერიათ თქვენზე ადრე ჩვენს მწერლებს და გამოუყვანიათ ჩვენს მწერლობაში ყაჩაღიც და ტყვეთ გავარდნილიც...

რასაკვირველია, მე იმას კი არ ვამბობ ამ სიტყვებით, რომ ძველებური სოფლის ცხოვრება არ დაიხატოს-მეთქი. არა. მე ვამბობ მხოლოდ, რომ იმისთანა ნიჭიერს მწერალს, როგორც შიო არაგვისპირელია; მე ვთხოვ უფრო ახალ ცხოვრების გამოხატვას, ახალი აზრით გაშუქებულს სინამდვილეს, რომელიც უნდა შეიტანოს მან მწერლობაში.

მაშინ იმ კაცისთვის, რომელიც გულწრფელად დაუინტერესებია ქართულს მწერლობას, ნათელი და გასაგებიც იქნება ქართველთა დღეინდელი ცხოვრება, ნიჭიერი მწერლების მიერ ღამაზად და ცოცხლად დახატული. მაშინ ქართული მწერლობაც იქნება ნამდვილი ცოცხალი თაიგული ადამიანის ხასიათთა, ზნეჩვეულებათა და ყოფაქცევისა, სადაც მკითხველი გამონახავდა ცხოვრების უტყუარს მიმდინარობას და ჩხრიალს.

ეს ცხოვრება, ეს ახალი ქვეყანა, რომელიც ჩვენ გვეცნობა, გვენათესავეა, თავს დიდათ შეგვაყვარებს, დაგვიახლოვებს და აღძრავს ჩვენს გულში დაუშრეტელ წყურვილს მასთან დაახლოვებისა და შეყვარებისას. და, მერწმუნეთ, ასეთი მწერლობა დიდათ გააცხოველებს ჩვენში და აღძრავს კეთილშობილ ინსტიქტებს, რომ ასეთი მწერლობა კარგად შევიგნოთ და

იმის პატიოსანი სასარგებლო მუშაქანი თავდადებული სიყვარულით შევიყვაროთ...

შემდეგი იქნება. ხომლედი.

რას მოვსწარი!

ლექსებში მოგზაურობის დროს, რაღაც შემთხვევით, ცაგერის საბლალოჩინოს ერთ სოფელში გავიარე, სადაც დღეობაზე მრავალი ხალხი შეგროვილიყო სხვადასხვა მხრიდან მოსული. სტუმართმოყვარე სოფლებები დიდათ მხიარულნი იყვნენ და სტუმრებს ერთი მეორეს გლეჯდნენ ხელიდან. საღამოს ეამზე როცა ხალხი მოედანზე თამაშის საყურებლათ თავს იყრიდა, დაეინახე, რომ ადგილობრივი მღვდელი, ცხენზე ხურჯუნ შემოკრული გასძახოდა ერთიდან მეორე ოჯახს „ხშიადი-ხშიადიო“! ამ უცხო სანახაობამ დამაინტერესა და ყურადღება მივაქციე; ენახე, რომ „ხშიადის“ ძახილზე ყოველი ოჯახიდან მოარბენინებდნენ, ზოგი ხაჭაპურს 1—3 დის, ზოგი ლავაშ პურს და ზედ დამატებით, ყველის მაგიერ, ხორცსა და ყველა ამებთან ერთათ კადევ თითო ნიტრით ანუ ბოთლით ღვინოსა. პურსა და ხორცს მღვდელი ხურჯინში იწყობდა, ღვინოს კი მნათე ისხამდა კუპრში, რომელიც ზურჯზე მოეკიდა და უკან მისდევდა ქვეითათ ცხენოსან მღვდელს. ღვინისაგან წრეს გადასული მოქიფე ახილგაზღობა შეუფერებელი ოხუნჯობით უმასპინძლებოდა მღვდელს და მის მნათეს.

ყორანი.

ეს ჩვეულება უთუოდ შამორჩენილია ძველიდგან, როცა ეკლესიის მსახურნი, ნაცვლად ფულისა, სანოვავეს ღებულობდნენ მრევლისაგან, დღეს მღვდლის ცხოვრება სხვა ნიადაგზეა დაყენებული, თანაც ღრონი იკვალნენ და რაც წინეთ ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ დღეინდელ ხალხს სასაცილოთაც არ ჰყოფნის და მღვდლის ავტორიტეტსაც ამცირებს მის თვალში. ამიტომ სასურველია ასეთი ჩვეულებები მოსპობილ იქმნეს, თუ ადგილობ არა, სათანადო მთავრობისგან მაინც.

ოქტობრი.

სოფელში, რომელიც შესდგებ ოთხმოც და ათი კომლისაგან, წერა-კითხვა ეცოდინება მხოლოდ თუთხმეტოლდე კაცს. ცხამელებისათვის სწავლა-განათლებაზე ზრუნვით არ აუტყეობია თავი ჩვენ ღირს მამებს. დღემდის ცხამელები განიცდიდნენ დიდ სიბნელეს, დღეს კი მღვდლის ნესტორ დვევიძის შრომით, ხსენებულ სოფლებს აღმოუბრწყინდათ ნათელი და ეჩვენათ გზა ცხოვრებისა. მღვდელი ნესტორ დვევიძე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მან გაუხსნა თავის მრევლს, არგვეთს ორკომპლექტიანი სამრევლო შკოლა, მან გარდასწყვიტა სხვა სოფლებებისათვისაც მოეტანა სარგებლობა და კიდევ შეუდგა შრომას. პირველად მღ. ნესტორ დვევიძემ მიმართა ცხამელებს, როგორც უფრო, სხვასთან შედარებით, ჩამორჩენილებს. ხსენებული მღვდლის მდაბალმა ხასიათმა, გულკეთილობამ და სიყვარულით აღსავსე სიტყვებმა დიდი გავლენა იქონია ხალხზე, რომელმაც ერთ ხმათადააღვინა განაჩენი შკოლის გახსნაზე ამა 1912 წ. აგვისტოს 26. თანახმად ამა განაჩენისა მთავრობამ გაუხსნა ცხამელებს სამრევლო შკოლა, რომელშიდაც სწავლა უკვე დაიწყო. ბავშვების რიცხვი ორმოც და ათამდეა. ცხამელები, ცხამელების შკოლა და მისი ისტორია სამუდამოთ არ დაივიწყებენ მღვდელს ნესტოს დვევიძეს და მუდამ მადრიელი იქნებიან მისი. ღმერთსა ვსთხოვ მსგავსი მღვდელ-მოძღვრები მრავალი აღმოჩენოდეს საწყალ ხალხს.

გლეხი.

სოფ. ნაქალაქარი (თიანეთის მაზრა).

23 ენკენისთვე ბედნიერი და ღირს შესანიშნაეი დღე იყო ნაქალაქარის საზოგადოებისთვის. ამ დღეს აკურთხეს აქ ორკლასიანი სამინისტრო სსსწავლებელი, რომლის აშენებისთვის 4000 მ. ბანი მეორე რაიონის ინსპექტორის პაგარელოვის შუამდგომლობით მთავრობამ გაიღო და ერთ ამოდენაზე მეტი, ე. ი. 4000 მ. მეტი ფულით, მასალის მოზიდვით და სხვანაირათ, თვით ნაქალაქარის საზოგადოებამ დახარჯა.

კურთხევაზე იყო მოწვეული თვით ბანი

ინსპექტორი პაგარელოვი, მომრიგებელი შუამავალი თიანეთისა ქავეკაძე, ფშაენესურეთისა ბარათაშვილი, ერწო-თიანეთის ბოქაული ბანი ვაშაძე, რომელსაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ამ შკოლის შენობის აშენებაზე, ბლალოჩინი ინაევი, ერწოს მხრის სამრევლოს მღვდლები და სხვა მრავალი პირნი.

შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს: ბლალოჩინმა ინაევმა, ადგილობრივ სამრევლოს მღვდელმა ნახუცაროვმა და ბოქაულმა ვაშაძემ. საათის ოთხი იყო, რომ საერთო სადილი გაიმართა. ბანი ინსპექტორმა პაგარელოვმა ადღეგრძელა ნაქალაქარის საზოგადოება, და მადლობა გადაუხადა, რომ მათ შკოლის აშენებისთვის არ დაზოგეს არც შრომა და არც ნივთიერი დახმარება. შემდეგ ადღეგრძელა ბოქაული ვაშაძე და წარმოსთქვა შემდეგი: „ბატონებო! მე მინახავს ბოქაული, რომ ყაჩაღებს დასდევდა დასაჭერათ, და სხვა საპოლიციო საქმესაც კარგათ ასრულებდა, მაგრამ რომ შკოლებს აშენებდეს და სხვა კულტურულ შრომებს ეწეოდეს, ასეთი ბოქაული იშვიათია. ბანი ნიკოლოზ იაკობის ძე ვაშაძე კი, თავდადებულია ამისთანა საქმეებში. მე მწამს რომ ბანი ვაშაძეს შვილები ჰყავს და სხვისი შვილებიც თავის შვილებივით უყვარს, და აი კიდევ ამიტომ ეწევა შრომას შკოლების აშენებაზე. ვისურვებ, რომ ვაშაძეს სხვაც ამოსჩენოდეს მიზნაძევი ამისთანა კეთილ საქმეში“. შვიდ საათზე სადილი გათავდა; შკოლის შევირდებს ტკბილეულობა დაურიგეს და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ერწოს მხარეს მცხოვრებ გლეხებს, საბედნიეროთ, თან-და-თან ეტყობათ გამოლიძება სწავლა-განათლების შესახებ, რაიცა, რასაკვირველია, დიდი სასიამოვნოა.

ქართველი ოსებში ნაწყადი.

საეკეო კითხვების განმარტება.

მამია რედაქტორა!

გთხოვთ შემდეგი საეკეო კითხვის განმარტებას: 28 სექტემბერს ჩემ მრევლში ვარდნი

ცვალი პატივცემული მოხუცებული აზნაური ილია საყვარელიძე. მე იმ დღეს მიცვალებულის მწირველი ვიყავი და რომ მივედი მიცვალებულის სახლში, ზარს ამბობდა ოთხი კაცი. ეს ცული ჩვეულება, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მოსპო მათმა მეთუფებამ ეპისკოპოსმა ლეონიდემ. მე, როგორც გავიგონე მათი ხმა, დავანებებე თავი, მაგრამ, როგორც ვაიგვს ქირისუფლებმა და მათმა მეზობლებმა საყვარელიძეებმა, შემომესიენ და მითხრეს: რა კანონის ძალით გვიკრძალავ ამ ჩვეულებასო. თუ გინდა სამსახური ჩვენთან, ზარს ნუ დავგიშლი, თორემ უშენოდაც გავასვენებთო. უკანასკნელად მკითხა ერთმა ვინმე შესმენილმა აბაშიძემ: მითხარი რა „სტატია“ გაქვს თქვენ მოცემული მღვდელმთავრისგან; რომ გვიკრძალავთ ზარის თქმასო. მე, როგორც ახალი ნაკურთხი მღვდელი, რას ვეტყუდი, არ ვიცოდი რა ნაირად აკრძალა ლეონიდემ, ან რა ბრძანება გასცა ამის შესახებ ეპარქიაში და გავჩუმდი. ამის შემდეგ ისევ მოიყვანეს მეზარეები და გააგრძელეს თავიანთი „ოი, ოი.“

მღვ. იოანე ნადირაძე.

ზარის მოსპობის თაობაზე ჩვენც მხოლოდ მისი თქმა შეგვეძლო, რაც უთქვამს მ. მღვდელს. დანარჩენი თვით ხალხის სინიღისის და სარწმუნოებრივი გრძნობის საქმეა. შეიძლება ხალხი კიდევ დათანხმდებოდა მღვდლის მოთხოვნისაზე, რომ ეკლესიაში რაიმე განკარგულება ამოჩენილიყო ზარის მოსპობის შესახებ. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ არც ერთი ცირკულიარი ამა თუ იმ განკარგულების თაობაზე არ მოიქმნება ეკლესიებში. დროა შევიგნოთ, რომ საქირთა ყოველი განკარგულება ადგილობრივ თუ უმაღლეს მთავრობისა ცალკე მიწერილობით მისდიოდეს მღვდელს და სამუდამოდ რჩებოდეს ეკლესიაში რიგზე წლობით დაწყობილი და შეყერილი.

მადლოების გამოცხადება

მამაო რედაქტორო!

უმორჩილებად ვთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზე-ის საშუალებით

ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი სამწყსოს სახელით მღვდლის დედათა მონასტრის მონაზვნებს თეკლას და ეკატერინას, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ვარდიგორის მაცხოვრის ეკლესიას სამი ცალი დაფარნა ღირებული ერთი თუმანი. იმედი მაქვს რომ დანარჩენი დედებიც ხსენებული მონასტრისა, არ დაიშურებენ ღარიბი ეკლესიისთვის თავიანთ ნაწარმოების შემოწირულებას.

ვარდიგორის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი ივანე ნადირაძე

ჩვენი ფოსტა.

ვისაც შეეხება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ამიტომ თქვენი წერილის დაბრუნება შეუძლებელია. გვაკვირებს ზოგიერთების ამბავი: საიქიოს წასულმბზედაც კი არ ასვენებს შურის ძიების სურვილი.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჟაფლია**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა :

„უიზნალ „განთიადის“ და გაზ. „შინაური საქმეების“ კანტორაში

იყიდება სამღვდლოებისათვის საჭირო შემდეგი ბლანკები:

- 1) მეტრბკის ამოწერილობანი,
- 2) ნების მოწმობები,
- 3) სამღვდლოების აღსარებითი სიები,
- 4) რწმუნებანი და მოთხოვნანი (Требов. и Удостовер.),
- 5) სეიდო ცნობები (ბლანკი-ჩინათვის),
- 6) ხალდათების სიები,
- 7) კანტრაქტები,
- 8) ხატარბელი წიგნაკები (Разношныя кн.),
- 9) შემოსავალ-გასავლის წიგნები,
- 10) ცნობის ფურცლები (Справоч. листы), და სხ. აქვე იყიდება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნები და წიგნაკები.